თამარ მესხი, რეზო აფხაზავა

მეწარმეობის სწავლება სასკოლო განათლების სისტემაში

მიმოხილვა

დეკემბერი
2020

მეწარმეობის სწავლება სასკოლო განათლების სისტემაში

მიმოხილვა

შესავალი

მოცემული სტატია განიხილავს მეწარმეობის (ანტრეპრენერობის), როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციის განვითარების საკითხს ზოგადი განათლების სისტემაში.

სამეწარმეო უნარები წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპეტენციას და იგი მოიაზრება იმ 8 კომპეტენციას შორის, რომელთა განვითარებაც მიიჩნევა პიროვნული ზრდისა და მომავლის საქმიანობის მნიშვნელოვან ხელისშემწყობ პირობად და წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის აუცილებელ კომპონენტს.

ევროკომისიის მიერ სამეწარმეო უნარები მიჩნეულ იქნა პიროვნული განვითარებისა და მომავალი საქმიანობის მნიშვნელოვან ხელისშემწყობ პირობად. ევროპის მოქალაქეებისა და ორგანიზაციებში სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის, ევროკომისიის ეგიდით შეიქმნა ინსტრუმენტი – მეწარმეობის კომპეტენციების ჩარჩო (EntreComp), რომელიც მოიცავს 3 სფეროს, 15 კომპეტენციას.

ცხრილი 1. EntreComp-ის მეწარმეობის კომპეტენციები[1]

სფერო	კომპეტენცია
იდეები და პერსპექტივები	პერსპექტივის იდენტიფიცირება
	კრეატიულობა
	ხედვა
	იდეების შეფასება
	ეთიკური და მდგრადი აზროვნება
რესურსები	თვითშემეცნება და თვითეფექტურობა
	მოტივაცია და სიმტკიცე
	რესურსების მობილიზება
	ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება
	სხვა ადამიანების შთაგონება
ქმედებები	ინიციატივის აღება
	დაგეგმვა და მენეჯმენტი
	გაურკვევლობასთან, ცვალებად გარემოსა და რისკთან გამკლავება
	გუნდური მუშაობის უნარი
	გამოცდილებით სწავლა

[1] https://eufordigital.eu/geo/library/entrecomp-the-entrepreneurship-competence-framework/

აღნიშნული კომპეტენციების განვითარებისათვის ევროკომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრმა ქვეყნებმა იზრუნონ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სამეწარმეო უნარების, კრეატიულობისა და ინიციატივების გაძლიერებაზე. მაგალითად, ხელი შეუწყონ ახალგაზრდებს სასკოლო განათლების პერიოდში მიიღონ, სულ მცირე, ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილება მაინც;[2]

მეწარმეობის კომპეტენციების განვითარება საქართველოს ზოგადი განათლების ამოცანასაც წარმოადგენს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეწარმეობა ასახულია, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, არჩევითი საგანი და ასევე სამოქალაქო განათლების კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი. ამასთან ერთად, ქვეყანაში მოქმედი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ მნიშვნელოვან პროექტებს მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერისათვის. მიუხედავად ამისა, სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს ზოგადი განათლების სისტემისათვის.

როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის მასშტაბით საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სტატია ეხება მოსწავლეებში მეწარმეობის კომპეტენციების განვითარების მსოფლიო ტენდენციებს, საქართველოში არსებულ გამოცდილებასა და მიმოიხილავს კონკრეტულ მაგალითებს.

[2] http://erasmusplus.org.ge/files/files/ევროკავშირის_საბჭოს_რეკომენდაცია_საკვანძო_კომპეტენციების_შესახებ_2018.pdf

I სასკოლო განათლებაში მეწარმეობის სწავლების ტენდენციები საერთაშორისო დონეზე

ანტრეპრენერული უნარების განვითარება და წახალისება განათლებაში ევროკავშირის ქვეყნებისთვის ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას წარმოადგენს. ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის და იმ სწრაფი ცვლილებების ფონზე, რომლებიც თან სდევს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, ახალგაზრდებში ტრანსფერული უნარების, მათ შორის, მეწარმეობისთვის აუცილებელი კომპეტენციების მხარდაჭერა, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს (Entrepreneurship Education at School in Europe (Eurydice Report), 2016).

მეწარმეობის, როგორც ერთ-ერთი საკვანძო კომპეტენციის საერთო ევროპულ აღქმას ორი ფოკუსი აქვს: პირველი გულისხმობს, რომ ინდივიდს უნდა განუვითარდეს უნარები და ცოდნა, რათა შეძლოს იდეის საქმედ გარდაქმნა. ხოლო მეორე ფოკუსის მიხედვით, მეწარმეობა სცდება ეკონომიკასა და ბიზნესს და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება (Eurydice Report, 2016). სწორედ ამ დამოკიდებულებებს ეხმიანება სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩო (EntreComp), სადაც ძირითადი აქცენტები ინიციატივაზე, კრეატიულობასა და სწავლის უნარზეა დასმული. აღნიშნულ უნარებთან ერთად, ჩარჩოში ყურადღება გამახვილებულია ფინანსურ წიგნიერებაზეც. მოცემული საკითხი 2012 წელს პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარებთან ერთად, შეტანილი იქნა PISA[3]-ს საერთაშორისო კვლევაშიც. 2018 წელს კი ამ ჩამონათვალს პრობლემის თანამშრომლობით გადაჭრის უნარიც დაემატა. თითოეული მათგანი დაკავშირებულია ანტრეპრენერულ უნარებთან, რადგანაც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: გაურკვევლობასთან გამკლავება, ინიციატივის გამოჩენა და ინოვაციების ძებნა (Eurydice Report, 2016).

შედარებით ვიწრო გაგებით, მეწარმეობამ უნდა წაახალისოს მოსწავლეები საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის. ხოლო, მეორე, უფრო ფართო გაგებით, მეწარმეობა არ ეხება საკუთარი ორგანიზაციის დაარსებას, არამედ, ამ საგნის სწავლებით მოსწავლეები უნდა გახდნენ უფრო კრეატიულები, პერსპექტივაზე ორიენტირებულები, აქტიურები და ინოვაციურები (Entrepreneurship in Education. What, Why, When, How. OECD, 2015). ამ ორ განსხვავებულ მიდგომას საერთო აქვს ის, რომ მეწარმეობის სწავლისას მოსწავლეებმა უნდა გამოიმუშაონ უნარი და მზაობა, რათა შექმნან ღირებულება სხვა ადამიანებისათვის. ეს არის ანტრეპრენერობის ძირეული ასპექტი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანისთვის არის საჭირო. ხოლო საკუთარი ბიზნესის წამოწყება კი ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ შევქმნათ ღირებულება.[4]

ევროკავშირში მეწარმეობის სწავლებისას დირექტივები ნაკლებად არის შემოთავაზებული და ეს ძირითადად სკოლების შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. როგორც წესი, მეწარმეობის სწავლება არაფორმალური განათლების ნაწილია და საკლუბო, ან საწრეო აქტივობებში გვხდება. ასეთი მიდგომისას მოსწავლეებს ძირითადად, სკოლის გარეთ, რეალურ ბიზნეს გარემოსთან უწევთ შეხება. პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილების მიღების ყველაზე გავრცელებული სახეებია მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური მეწარმეობა ან მცირე საწარმოების ჩამოყალიბება, რომელთა კოორდინაციაც პედაგოგების დახმარებით ხდება. ამ პროცესს ახასიათებს იდეების გენერირება და საბოლოოდ, პროდუქტის შექმნა. მეწარმეობაში, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისას, გარე პარტნიორების (მაგალითად, ჯუნიორ ეჩივმენთის) ჩართულობა ერთ-ერთ ძირეულ ელემენტს წარმოადგენს (Eurydice Report, 2016).

[3] მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა. https://www.oecd.org/pisa/

[4] **ღირებულების შექმნა (create value)** – ღირებული (არა აუცილებლად ფინანსურად ღირებული) ნივთის შექმნა ადამიანის ძალისხმევისა და გამომგონებლობის/ინოვაციურობის საშუალებით. ღირებულების შესაქმნელად საჭიროა, ვიცოდეთ, რას მიიჩნევს მომხმარებელი ღირებულებად, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, როცა ყიდვის გადაწყვეტილებას იღებს.

რაც შეეხება მეწარმეობის მასწავლებლის კომპეტენციებს, ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში ორგანიზაციებს, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ სამეწარმეო განათლების მიმართულებით, ავტონომია აქვთ მინიჭებული, ან ნაკლებად ეხებათ რეგულაციები და რეკომენდაციები. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კი დახმარების ყველაზე გავრცელებული სახე სასწავლო მასალების მიწოდებაა. მასწავლებლებს შორის ქსელური მუშაობა (ნეთვორქინგი) კი სასარგებლო იქნებოდა საერთო აღქმის ჩამოყალიბებისა და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებისათვის. თუმცა, ეს მიდგომა ჯერჯერობით მხოლოდ ერთეულ ქვეყნებშია გავრცელებული.

საქართველოში, მასწავლებლის პროფესიის რეგულირებადი პროფესიის ნუსხაში შეყვანის გამო (იურიდიული და სამედიცინო დარგის მუშაკებთან ერთად), მნიშვნელოვნად არის გართულებული ამ საგნის მასწავლებელთა მოზიდვა (რეკრუტირება) და შეყვანა ზოგადი განათლების სისტემაში. ამის გამო მეწარმეობას ძირითადად სხვა საგნის მასწავლებლები ასწავლიან, რაც უარყოფითად აისახება ხარისხზე.

მოსწავლეთა შორის ანტრეპრენერული უნარებს გაძლიერებისათვის რეკომენდირებულია კეთებით სწავლების მეთოდი. ამავდროულად, მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის საჭიროა ინტერდისციპლინურ გუნდებში მუშაობა და სკოლის გარეთ აქტივობებში ჩართვა.

მეწარმეობა გულისხმობს ინოვაციური ორგანიზაციის დაარსებას, ან არსებულ ორგანიზაციაში მუშაობას, რომელიც ქმნის ღირებულებებს, როგორც მოგების მიღების, ასევე სოციალური სარგებლის მიზნით. მეწარმე ან მეწარმეთა გუნდი არ არსებობს განცალკევებით. იგი გარემოსთან ინტერაქციაში იღებს ცოდნას და თავისი მოქმედებებით აღწევს ცვლილებას და ღირებულების შექმნას. მეწარმეობრივი განათლების შემთხვევაში, მიდგომას „სწავლა კეთებით“ ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ „სწავლა ღირებულების შექმნით“. ამ საგნის სწავლების დროს, მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, შექმნან ღირებულება გარე პირებისთვისა და ორგანიზაციებისთვის, და არა მასწავლებლისა ან თანაკლასელებისთვის) (OECD, 2015).

იმ გამოწვევებს შორის, რაც განათლებაში მეწარმეობის შეტანას უკავშირდება, ყველაზე ხშირად ასახელებენ რესურსების სიმცირეს, მასწავლებლებში კომერციის/მერკანტილიზმის შიშს, საგანმანათლებლო სტრუქტურების მხრიდან შეფერხებას, შეფასების სირთულეს, განმარტებებისა და დეფინიციების ბუნდოვანებას.

II მეწარმეობის სწავლების პრაქტიკული მაგალითები

სტატიის ამ ნაწილში გავეცნობით განსხვავებულ მიდგომებსა და გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ მოსწავლეები მეწარმეობრივ ცოდნასა და უნარებს. პირველ მაგალითში მეწარმეობა ისწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობით, მეორე მაგალითში კი მოცემულია კურიკულუმის რეკომენდაციები, რომელიც განკუთვნილია კონკრეტული ჯგუფისთვის – აგრარულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

მეწარმეობის განვითარება სკოლაში. მექსიკის გამოცდილება

პირველი მაგალითი, რომელსაც გავეცნობით, აღწერს მექსიკის სკოლებში დაწყებით საფეხურზე მეწარმეობის სწავლებას. ეს მაგალითი გამოირჩევა იმით, რომ პროცესში ჩართულები არიან განათლების სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეები და პედაგოგები. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან მეწარმეობას და ამავდროულად, თვითონაც იმაღლებენ კომპეტენციას.

საგანმანათლებლო პროგრამა „ჩემი პირველი საწარმო: მეწარმეობა თამაშით“ შეიქმნა ეროვნულ დონეზე სკოლებში მეწარმეობის წახალისებისთვის. პროგრამა იყენებს თამაშით სწავლების მიდგომას და განკუთვნილია მეოთხე და მეხუთე კლასებისათვის. მოსწავლეები ეცნობიან მეწარმეობის საფუძვლებსა და პრინციპებს, შემდეგ კი აყალიბებენ მცირე საწარმოს. საწარმოს ჩამოყალიბებისას ითვალისწინებენ თემის საჭიროებებს და შესაძლებლობებს. ქვეყნის მასშტაბით პროგრამას ახორციელებს სამოქალაქო ორგანიზაცია Enterprise-Higher Education Foundation (FESE), რომელიც მიზნად ისახავს, საგანმანათლებლო, სამეწარმეო და სამთავრობო სექტორებს შორის ურთიერთობების მხარდაჭერას.

მეწარმეობის სწავლებაში ჩართულები არიან უმაღლესი სასწავლებლებიც. თანამშრომლობა ოფიციალურად ფორმდება უნივერსიტეტსა და სკოლას შორის, სტუდენტები ირგებენ კონსულტანტის როლს და სკოლის მოსწავლეებს ეხმარებიან საწარმოს ჩამოყალიბებასა და მართვაში. ხოლო სტუდენტებს, თავის მხრივ, კონსულტანტობისთვის ამზადებენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები.

სკოლის მოსწავლეები თავიანთი მინი საწარმოებისათვის იღებენ დაფინანსების სახით 3000 პესოს ($170). ამასთანავე, გაწეული შრომისთვის პროფესორები იღებენ ანაზღაურებას ხოლო სტუდენტები – 6-თვიან სტიპენდიას. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს FESE-ს მიერ მოძიებული სახსრები. ეს პროცესი, თავის მხრივ ხელს უწყობს სამეწარმეო სექტორს, აძლიერებს პროფესიულ მომზადებას და აუმჯობესებს უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

საწარმოს მუშაობის მანძილზე მოსწავლეები ამზადებენ ფინანსურ ანგარიშს, ითვლიან მოგებას და გეგმავენ მოგების სახით მიღებული თანხის ინვესტირებას. ამ დროს ისინი სწავლობენ ფინანსებს, მენეჯმენტსა და გამჭვირვალეობას. აგრეთვე ივითარებენ, სოლიდარობის, პატივისცემის და თანამშრომლობის უნარებს. მოსწავლეთა მინი-კომპანიები უმეტესად აწარმოებენ შემდეგი სახის პროდუქტებს: ტკბილეული, ხელნაკეთი ნივთები, საოფისე ნივთები, ბლოკნოტები, სამკაულები, კოსმეტიკა, საწმენდი საშუალებები და საკვები.

საბოლოოდ მიღებულ მოგებას ინაწილებენ მეწარმე მოსწავლეები, ხოლო საწყისი კა=

პიტალი ირიცხება ინვესტიციის სახით სასწავლო მასალებში, რომელსაც სკოლა იყენებს. ამ პროგრამის მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მოსწავლეები იღებენ თანხას თავიანთი გაწეული შრომისა და კრეატიულობისთვის. ამავდროულად, ფინანსდება სკოლებში მეწარმეობის სწავლების შემდგომი განვითარებაც.

რეკომენდაციები კურიკულუმისთვის, ცენტრალური ბალტიისპირეთი

მეწარმეობის სწავლების მეორე პრაქტიკულ მაგალითში წარმოდგენილია რეკომენდაციები მეწარმეობის კურიკულუმისთვის. რეკომენდაციები მომზადებულია RIBS (Rolling Images in Business Startups) პროექტის და ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში მეწარმეობასთან დაკავშირებული ცოდნის განვითარებას.

მეწარმეობრივი ცოდნის განვითარება ახალგაზრდებში წარმოდგენილია, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. პრობლემას კი წარმოადგენს ის, რომ ბალტიის ზღვის აგრარულ რეგიონებში ახალგაზრდები სამსახურისა და განათლების მისაღებად ტოვებენ თემს. შესაბამისად, საჭირო გახდა აგრარულ გარემოში ახალგაზრდებისთვის სამუშაო პერსპექტივის შექმნა. ამიტომაც, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს სთავაზობენ ცოდნისა და გამოცდილების მიღებას მეწარმეობაში, რათა მათ შეძლონ თავიანთი თავის დასაქმება და თემის განვითარება.

მეწარმეობრივ საქმიანობას ამ პროექტში აქვს კონკრეტული ფოკუსი, რაც გახლავთ აგრარული ტერიტორიების პოტენციალის ათვისება ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ხელოსნობის დარგში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. კერძოდ, გეიმინგისა და ტრანსმედიის[5] საშუალებით. ამ ტექნოლოგიების გამოყენებისთვის კი საჭიროა მედიაწიგნიერების განვითარება. მოცემულ შემთხვევაში მედიაწიგნიერება განმარტებულია, როგორც უნარი, გააანალიზო, შეაფასო და შექმნა მედია პროდუქტი სხვადასხვა ფორმით. მოცემულ პროექტში გამოიყენება აუდიოვიზუალური მედია და გადაღება.

RIBS პროექტი ახალგაზრდებთან მუშაობს როგორც სკოლებში, ისე ახალგაზრდულ ცენტრებში. პროექტის ფარგლებში შექმნილი კურსები და ვორკშოპები განკუთვნილია 15-18 წლის ასაკისთვის, თუმცა მცირე ცვლილებებით ისინი შეიძლება ადაპტირდეს უფრო მცირე ასაკის მოსწავლეებისათვისაც. ძირითადი აქცენტი კეთდება სოციალურ მეწარმეობაზე, რაც გულისხმობს სოციალური, კულტურული და გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, არა მხოლოდ ფულით, არამედ სხვა საშუალებებითაც.

პროექტის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმი დაყოფილია სამ მიმართულებად: შიდა მეწარმეობის უნარები, გარე მეწარმეობის უნარები და კრეატიულობა (მედია წიგნიერება). შიდა მეწარმეობა მოიცავს პიროვნულ უნარებს, როგორიცაა ინიციატივა, რისკი და სხვა. გარე მეწარმეობა კი განმარტებულია, როგორც ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მართო კომპანია (ბიზნეს-გეგმა, მარკეტინგი, ბიუჯეტის კეთება). კრეატიულობა კი მოიცავს სპეციფიურ უნარებს კრეატიული ბიზნესის კეთებისათვის (მულტიმედია საშუალებების გამოყენება და სხვა).

[5] Transmedia storytelling – ისტორიებისა და გამოცდილებების მოყოლის ტექნიკა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით

01 შიდა მეწარმეობის კომპეტენციების განსავითარებლად კურიკულუმში მოცემულია შემდეგი კურსები:

ლიდერობა – ამ კურსზე მოსწავლეები იგებენ, თუ როგორ უნდა შეძლონ მუშაობა სხვადასხვა კონტექსტში: ჯგუფში, სამსახურში, თავისუფალ დროს, ხელმძღვანელის როლში და დაქირავებულის როლში. მოსწავლეები აანალიზებენ საკუთარ ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში. სწავლობენ, რა პიროვნული თვისებებია საჭირო ლიდერობისთვის და როგორ უნდა გამოიმუშაონ ეს თვისებები.

Outside the box – ვორკშოპი, სადაც მონაწილეებს დისკუსიების, ჯგუფური მუშაობისა და პრაქტიკული სავარჯიშოების გამოყენებით უვითარდებათ თავდაჯერებულობა.

ორატორობა და კომუნიკაცია – კურსზე ისწავლება კომუნიკაცია სხვადასხვა სიტუაციებში. მაგალითად, იდეების წარდგენა, გასაუბრება სამსახურისთვის, პრეზენტაციული უნარები, რეზიუმეს შედგენა.

თიმ ბილდინგი – კურსის ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ სავარჯიშოები ჯგუფური თამაშების სახით, სწავლობენ ჯგუფის შექმნისა და ჯგუფში მუშაობის თეორიებს.

კრეატიულობა და იდეები – კურსზე მოცემულია არაფორმალური გაკვეთილები. მოსწავლეები იცნობენ ერთმანეთს სხვადასხვა თამაშებში ჩართვით, რაც მათ ეხმარება ადამიანებთან ურთიერთობასა და იდეების ჩამოყალიბებაში.

02 გარე მეწარმეობის კომპეტენციების დახვეწისთვის კი მოსწავლეები გადიან ქვემოთ მოცემულ კურსებს:

მარკეტინგი – კურსზე მოსწავლეებს ეძლევათ პრაქტიკული სამუშაო: მათ უნდა შეისწავლონ სამიზნე ჯგუფი და აწარმოონ საკუთარი კამპანია.

მეწარმეობის ეკონომიკა – მოსწავლეები ქმნიან სიმულაციურ კომპანიებს, ინაწილებენ პასუხისმგებლობას და ქმნიან პროდუქტის კონცეფციას.

დროის მენეჯმენტი – დროის მატრიცის საშუალებით სტუდენტებს ევალებათ აქტივობების განაწილება პრიორიტეტულობის მიხედვით.

ბიზნეს გეგმა – კომპანიის იდეის წარმოდგენა, მისი რეალისტურობის შეფასება და ფინანსური ანალიზი.

03 კრეატიულობისა და მედია წიგნიერების მიმართულების კურსებია:

მედია წიგნიერება – ამბის თხრობა სურათების, ვიდეოს, მეტყველების და წერის საშუალებით. კურსის მიზანია აუდიო-ვიზუალური გამოხატვის საშუალებების, ფილმის ენის შესწავლა და მისი პრაქტიკაში გამოყენება.

მოძრავი სურათები (ვიდეო) – კურსის განმავლობაში მოსწავლეები თავიანთი სერვისისა და პროდუქტის წარმოსაჩენად ქმნიან მოძრავ სურათებსა და ვიდეოებს.

ხმის ტექნიკა – ამ კურსზე მოსწავლეები ქმნიან აუდიო პროდუქტებს, რომელიც შეესაბამება მათ სერვისსა თუ პროდუქტს.

სასწავლო პროცესის ბოლო ნაწილი არის მეწარმეობრივი ცოდნის პრაქტიკაში გადატანა. მოსწავლეების ჯგუფი ამზადებს საკუთარ საწარმოსა თუ ინიციატივას. ერთ-ერთი პროექტი, რომელიც RIBS-ის ფარგლებში მოამზადეს მოსწავლეებმა, არის მოსწავლეების მიერ კინოთეატრის მართვა (Students take over the cinema). როგორც ზემოთ აღინიშნა, RIBS მიზნად ისახავს აგრარულ გარემოში მცხოვრები ახალგაზრდების ლოკალურ თემში ჩართულობის წახალისებას. რადგანაც ახალგაზრდები უმეტესად ქალაქის კინოთეატრებს სტუმრობენ, ამის გამო მუდმივად დგას ადგილობრივი მცირე კინოთეატრების გადარჩენის საკითხი. ახალგაზრდა ანტრეპრენერები ერთვებიან საკუთარ თემში, ადგილობრივი კინოთეატრის მმართველობაში და პრაქტიკაში სწავლობენ ღონისძიების დაგეგმვას და თანამშრომლობას.

III მეწარმეობის სწავლება საქართველოს სკოლებში

საქართველოში მეწარმეობა ისწავლება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების კუთხით. სკოლის დონეზე მეწარმეობის კომპეტენციის ამაღლება რამდენიმე გზით მიიღწევა. ერთი მხრივ, მეწარმეობა საშუალო საფეხურზე ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი, მეორე მხრივ კი ის გამჭოლი კომპეტენციის სახით გვხვდება სხვა საგნებში. ხოლო რაც შეეხება სკოლის გარეთ და არაფორმალურ განათლებას, მეწარმეობის, ფინანსური წიგნიერებისა და ბიზნეს უნარ-ჩვევების სწავლების მიმართულებით არაერთი ორგანიზაცია მუშაობს. მათი სასწავლო პროგრამები ახალგაზრდებში ანტრეპრენერული უნარ-ჩვევების გაძლიერებას ემსახურება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის დონეზე მეწარმეობის კომპეტენციის განვითარებას სამი მიმართულება აქვს.

პირველი – მეწარმეობა, როგორც გამჭოლი კომპეტენცია, ყველა სასკოლო საგანს შეიძლება გასდევდეს.

ამჟამინდელ, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, წინა გეგმებისგან განსხვავებით, მეწარმეობა ცალკე კომპეტენციად არის დასახელებული. სწავლა-სწავლების მიზნებსა და სასკოლო კულტურაში, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეწარმეო უნარებსა და ინიციატივებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებში მოცემულია გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რაც მოსწავლეს უნდა განუვითარდეს.

მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა	▸ სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა; ▸ ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით; ▸ მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.

ამავე დოკუმენტში, სკოლის საერთო კულტურის მუხლში ვკითხულობთ, რომ სხვა საკითხებთან ერთად, სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს:

> სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას – მეწარმეობა არის ინდივიდის უნარი იდეები აქციოს საქმედ. ის მოიცავს როგორც შემოქმედებითი მიდგომის, ინოვაციისა და რისკის, ასევე დასახული მიზნის მისაღწევად დაგეგმვისა და პროექტების მართვის უნარს. მეწარმეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო თემის ცხოვრებაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვისთვის. მეწარმეობის საფუძვლების გათავისება მოსწავლისთვის ფართო ასპარეზია ინოვაციური იდეების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელებისთვის. იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარია, რომლის მქონე თითოეული ინდივიდი ავტომატურად ხდება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი, რაც მისი მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ზრდასაც განაპირობებს. ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს უნდა აძლევდეს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.[6]

[6] ეროვნული სასწავლო გეგმა. მუხლი 8, პუნქტი ი.

მეორე – ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში ისწავლება მეწარმეობის კომპეტენციები.

კონკრეტულად კი მეწარმეობის კომპეტენციები გვხვდება შემდეგ საგნებში: დაწყებით საფეხურზე „მე და საზოგადოების“ (III–IV კლასი) და „ჩვენი საქართველოს“ (V–VI კლასი) სტანდარტის ერთ–ერთი მიმართულება არის ინიციატივა და მეწარმეობა. საბაზო საფეხურზე კი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში მეწარმეობა გვხვდება „მოქალაქეობაში“ (VII–IX კლასი). აღნიშნული საგნების სტანდარტებით მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ინიციატივის გამოჩენა, საკუთარი საქმიანობების დაგეგმვა, ეკონომიკური თუ ფინანსური უნარ–ჩვევების გამოვლენა, სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება, პროფესიის შერჩევისათვის საკუთარი შესაძლებლობისა და მოთხოვნილებების გააზრება.

მესამე – საშუალო საფეხურზე, X–XII კლასებში ისწავლება არჩევითი საგანი „მეწარმეობის საფუძვლები“.

„მეწარმეობის საფუძვლები“ სკოლებში მეორე პერიოდის (2011–2016 სასწავლო წლების) ეროვნულ სასწავლო გეგმიდან ჩნდება, დღეისათვის კი მესამე თაობის (2018–2024 წელი) ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოდიფიცირებული სახით არის წარმოდგენილი. მიმდინარე წელს, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, ამ საგანს სხვადასხვა რეგიონის 181 საჯარო და 25 კერძო სკოლაში ასწავლიან.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, არჩევითი საგნის „მეწარმეობის საფუძვლების“ აღწერისას აღნიშნულია, რომ მეწარმეობა აუცილებელი და სპეციფიკური ცხოვრებისეული კომპეტენციაა, რომელიც მოსწავლეს აძლევს საკუთარი ინიციატივების რეალიზებისა და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. აქვე ჩამოთვლილია ის უნარები და ღირებულებები, რაც მოსწავლეს უნდა განუვითარდეს საგნის სწავლისას. მათ შორის მოიხსენიება ინიციატივის გამოჩენისადმი მიდრეკილება, ინიციატივის შემოქმედებით სამეწარმეო იდეად გარდაქმნის უნარი, ინოვაციებისა და რისკებისადმი რაციონალური დამოკიდებულება, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა და სხვ.[7]

თუ სხვა საგნების სწავლებისას მეწარმეობა გამჭოლი კომპეტენციაა და ამა თუ იმ საგნის შესაბამისი პროექტებისა თუ დავალებების კეთებისას მოსწავლეებს მეწარმეობის უნარ–ჩვევები უვითარდებათ, „მეწარმეობის საფუძვლების“ შემთხვევაში იმისათვის, რომ ანტრეპრენერული კომპეტენცია განუვითარდეს მოსწავლეს, ბიზნესი კონტენტად არის გამოყენებული. მეწარმეობის საფუძვლების სტანდარტში ნათქვამია, რომ საგნის მიზანი არ არის ბიზნესის სწავლება. ბიზნესი ანტრეპრენერული კომპეტენციის განვითარების საშუალებაა ისევე, როგორც სხვა საგნების კომპლექსური დავალებები.

დღეისათვის მეწარმეობის საფუძვლები, როგორც არჩევითი საგანი, ისწავლება ქალაქების, რეგიონებისა და სოფლების 206 სკოლაში. საგნის მასწავლებელი შეიძლება გახდეს როგორც სკოლის პედაგოგი (უმეტესად საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფიდან), ასევე გარედან მოწვეული სპეციალისტიც, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.

სკოლაში მეწარმეობის სწავლებას გარე ორგანიზაციებიც უჭერენ მხარს. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯუნიორ ეჩივმენთს. ამ ორგანიზაციის პროგრამები საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული ევროპის კომისიის მიერ. ჯუნიორ ეჩივმენთი არაფორმალურ განათლებას ეწევა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებისათვის ფინანსური წიგნიერების, ბიზნეს უნარ–ჩვევებისა და მეწარმეობის პროგრამებით.

„მეწარმეობის საფუძვლების“ სკოლაში დანერგვიდან მოყოლებული, ჯუნიორ ეჩივმენ–

[7] http://ncp.ge/ge/metsarmeoba-safudzvlebi/shesavali

თი სკოლების ძირითადი მხარდამჭერია საგნის სწავლებისას. სკოლებში, რომლებსაც არჩეული აქვთ ეს საგანი, იგი ახორციელებს პროგრამას „მეწარმეობის საფუძვლები – მოსწავლეთა კომპანია“. აგრეთვე, ჯუნიორ ეჩივმენთი უზრუნველყოფს საგნის მასწავლებლების ტრენინგებს და ქმნის რესურსებსა და სახელმძღვანელოებს[8].

ტრენინგებზე მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ მეწარმეობის მიდგომებსა და სწავლების მეთოდებს, ისევე როგორც მასალებთან მუშაობის ხერხებს. ტრენინგების საშუალებით მასწავლებლებს უძლიერდებათ ქოუჩობის უნარები, რის შედეგადაც ისინი კლასში ახერხებენ მოსწავლეებისათვის მოტივაციის მიცემას, მათთვის ასპარეზის დათმობასა და თავად დამკვირვებლის როლში ყოფნას.

ამ შემთხვევაში, მეწარმეობის მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად საგნის პროგრამაში შემავალი საკითხების სიღრმისეული ცოდნა, არამედ იმის გააზრება, თუ რა იციან, რისი ცოდნა სჭირდებათ და შემდგომ, საჭირო ინფორმაციისა და მასალის მოძებნისა და სწავლის უნარი.

პროგრამა, რომელსაც ჯუნიორ ეჩივმენთი სკოლებში ახორციელებს („მოსწავლეთა კომპანია“), მოიცავს კეთებით სწავლების მეთოდს. მას კომპანიით სწავლების მეთოდსაც უწოდებენ. მოსწავლეები პრაქტიკაში ეცნობიან სამეწარმეო საქმიანობას: ისინი აყალიბებენ და მართავენ სიმულაციურ საწარმოს, ინაწილებენ საწარმოს თანამშრომლების როლებს, ზრუნავენ კაპიტალის მოზიდვაზე, ქმნიან და ბაზარზე გააქვთ მათივე შექმნილი პროდუქტი და ამზადებენ საბოლოო ანგარიშს.

ჯუნიორ ეჩივმენთის დაკვირვებით, მოსწავლეები, რომლებსაც გავლილი აქვთ „მოსწავლეთა კომპანიის“ პროგრამა, უფრო ხშირად იწყებენ სტარტაპებს და აქვთ უკეთესი აკადემიური მოსწრება. გარდა ამისა, სამეწარმეო პროგრამები ცვლის მათ შეხედულებებსა და განწყობებს. არის შემთხვევები, როცა მოსწავლეებს, რომლებიც მანამდე სწავლით დაინტერესებული არ იყვნენ, უჩნდებათ სწავლის გაგრძელების სურვილი, ხედავენ მიზეზს, თუ რატომ ღირს სწავლა.

მასწავლებელთა დამოკიდებულებების, გამოცდილებისა და სწავლების პროცესის უკეთ გასაცნობად ჩატარდა ფოკუს ჯგუფი საგნის მასწავლებლებთან. კონკრეტულად კი 2019 წელს გამართულ მეწარმეობის საფუძვლების პედაგოგთა კონკურსის გამარჯვებულებთან. ისინი სხვადასხვა საგნისა თუ პროფესიის სპეციალისტები არიან. მას შემდეგ, რაც მათმა სკოლებმა ჯუნიორ ეჩივმენტთან თანამშრომლობა დაიწყეს, ამ მასწავლებლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგები და ამჟამად ასწავლიან მეწარმეობის საფუძვლებს გორის, ზესტაფონის და ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში.

რაც შეეხება მათ პროფესიულ განვითარებას, ჯუნიორ ეჩივმენთის ტრენინგებისა და პროგრამების გარდა, მასწავლებლები მონაწილეობას იღებდნენ სხვა ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ პროგრამებშიც, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ტრენინგი „სკოლა–ბანკი“ ფინანსური განათლების მიმართულებით, ეროვნული ბანკისვე შექმნილი ფინანსური განათლების პორტალი „ფინედუ“ და ახალი ეკონომიკური სკოლის და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ტრენინგები.

გარდა ტრენინგებში მონაწილეობისა, მეწარმეობის საფუძვლების მასწავლებლები ხელს უწყობენ თავიანთი მოსწავლეების ჩართვას კონკურსებსა და სამეწარმეო თუ ფინანსური განათლების პროგრამებში, მაგალითად, Diamond Challenge Georgia–ს საერთაშორისო კონკურსი, ჯუნიორ ეჩივმენთის პროექტები, „იყავი მეწარმე“, „აგროკოოპერაცია და მეწარმეობა“ და ინოვაციების ბანაკი. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეების ჩართულობა კონკურსებსა და პროექტებში ხელს უწყობს მეწარმეობრივი განათლების ცნობადობის ამაღლებას საზოგადოებაში. უფრო მეტი ადამიანი იღებს

[8] http://www.jag.ge/index.php?page=projects_single&id=5

ინფორმაციას სკოლებში მეწარმეობის საფუძვლების სწავლებისა და ჯუნიორ ეჩივმენ-თთან თანამშრომლობის შესახებ.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასალები, რომლებსაც სკოლებს ჯუნიორ ეჩივმენთი აწვდის, შეიცავს მოსწავლის ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს, ორიენტირებულია კეთებით სწავლებაზე და შესაბამისად, საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეებისათვის სახალისო და საინტერესო ხდება. შეთავაზებული ციფრული მასალის დახმარებით, მასწავლებლებს უადვილდებათ დისტანციურად სწავლების პროცესიც. სასწავლო მასალებთან ერთად ჯუნიორ ეჩივმენთი პარტნიორ სკოლებს აწვდის მასწავლებლის წიგნს, რომელშიც ყველა სასწავლო აქტივობა დეტალურად არის გაწერილი.

ფოკუს ჯგუფში მასწავლებლებმა ისაუბრეს საგნის სწავლების პროცესზე. მეწარმეობის საფუძვლების გაცნობას მოსწავლეები თავიდანვე კეთებით სწავლით იწყებენ, თეორია ცალკე, დამოუკიდებლად გამოყოფილი არაა და პრაქტიკასთან არის შერწყმული. თითოეულ თემას, რასაც ამ საგანში სწავლობენ, ახლავს შესაბამისი პრაქტიკული სავარჯიშო.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან მეწარმეობის ძირითად ცნებებს, იწყებენ საკუთარი მინი საწარმოს შექმნას. პირველ რიგში, ბრეინშტორმინგის საშუალებით აყალიბებენ იდეას, თუ რა პროექტზე შეიძლება იმუშაონ. მასწავლებლები მათ აცნობენ, თუ რა პოზიციები არსებობს საწარმოს მმართველობაში და თითოეულ პოზიციის გაძღოლისათვის რა უნარ-ჩვევებია საჭირო. იდეის ფორმირების შემდეგ მოსწავლეები ინაწილებენ როლებს: მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, დირექტორი და სხვ. რადგანაც მოსწავლეები გადაწყვეტილებებს თვითონვე იღებენ და პოზიციებს ინაწილებენ, მეტი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებიან საქმეს.

როდესაც მოსწავლეებს თეორიული საფუძველიც აქვთ და როლებიც განაწილებულია, იწყება მინი საწარმოს ამოქმედება. მოსწავლეები რეგისტრირდებიან მეწარმეებად, ჯუნიორ ეჩივმენთის დახმარებით კი იღებენ პროდუქტის წარმოებისა და გაყიდვის ლიცენზიას. წარმოებისათვის საწყის კაპიტალს მოსწავლეები აგროვებენ ან ეძებენ თანხების მოზიდვის სხვა წყაროებს. სასწავლო წლის ბოლოს კი ხდება საწარმოს ლიკვიდაცია. მოსწავლეები თავიანთი მინი-კომპანიის აქციონერები არიან და მოგებას დივიდენდების შესაბამისად ინაწილებენ.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, თავიანთი მოპოვებული თანხა მოსწავლეებმა თვითონვე მოიხმარონ. მათ უკვე იციან დაზოგვა და თავიანთი გამომუშავებული ფულის ფასი. მასწავლებელი მათ ასწავლის ბიუჯეტის განკარგვას, ხოლო მოგების სახით მიღებული თანხის დახარჯვის პროცესში კი აღარ ერევა. მასწავლებლების თქმით, მინი საწარმოს მართვის შემდეგ მოსწავლეებს ეცვლებათ ფულთან დამოკიდებულება, უფრთხილდებიან საკუთარ მოპოვებულ თანხას, სწავლობენ სურვილებისა და საჭიროებების განსხვავებას და თანხას ხარჯავენ პრიორიტეტების მიხედვით.

საკუთარი მინი კომპანიის შექმნისა და მართვის პროცესში მოსწავლეები ამჟღავნებენ და ხვეწენ შემოქმედებითობის უნარებს, ეჩვევიან აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და საკუთარი პროდუქტის წარდგენას, შესაბამისად უმჯობესდება მათი პრეზენტაციული უნარებიც. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმებისთვის მზაობაც. მოსწავლეები სწავლობენ CV-ს შედგენასა და გასაუბრებაზე საკუთარი თავის წარმოჩენას. მეწარმეობის საფუძვლები ახდენს მოსწავლეების ადაპტაციას რეალურ ცხოვრებასთან. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, ეს საგანი მოსწავლეებს არ ასწავლის მხოლოდ ბიზნესის საფუძვლებს, არამედ უვითარებს მათ საბაზისო უნარებს ნებისმიერი პროფესიის ფარგლებში მომავალი წარმატებისათვის. ამასთანავე, მათ უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და სხვისი აზრის პატივისცემა. მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ მეწარმეობა უკეთ ვითარდება გარემოში, სადაც ნაკლებადაა მიღებული დაცინვა. ხოლო ბრეინშტორმინგის

დროს ისინი მოსწავლეებს ასწავლიან სწორედ იმას, რომ ნებისმიერი იდეა ფასეულია, რომ სხვების იდეებს პატივი უნდა სცენ და რომ საკუთარი ინიციატივების საჯაროდ გამოთქმის არ უნდა შეეშინდეთ.

მეწარმეობის საფუძვლების სწავლის შედეგად მოსწავლეებს ეცვლებათ დამოკიდებულებები, უკეთ ხედავენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს, საშუალება ეძლევათ, გამოავლინონ ის უნარები, რომლის არსებობის შესახებ შესაძლოა არც იციან, ახლებურად ხედავენ სწავლის მიზნებს და უმაღლდებათ სწავლის გაგრძელების მოტივაცია.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა მოქალაქეობის მასწავლებლებთანაც, სადაც განხილულ იქნა მეთოდები, რომელთა საშუალებებითაც უვითარდებათ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეწარმეობის კომპეტენციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ აქტივობებზე, რომლებსაც ისინი ახორციელებენ, რათა მოსწავლეებში დახვეწონ ფინანსური უნარ-ჩვევები, მოახდინონ პროფესიული ორიენტაცია და არ გაუჭირდეთ ინიციატივის გამოვლენა.

ფინანსური წიგნიერების მიმართულებით მოსწავლეები იღებენ ფულის დაზოგვისა და ხარჯვის გამოცდილებას, ეცნობიან საბანკო პროდუქტების არსს. მოსწავლეები კეთებით სწავლების პრინციპებით იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას, თუ როგორ მართონ საკუთარი კეთილდღეობა.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევისთვისაც ამზადებს. მასწავლებლები ამა თუ იმ პროფესიის განხილვისას იყენებენ SWOT ანალიზის მეთოდს. მოსწავლეები აფასებენ საქმიანობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, პერსპექტივებსა და გამოწვევებს. ისინი აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებს, სწავლობენ სურვილებისა და საჭიროებების გამიჯვნას და განიხილავენ პროფესიებს საკუთარ ღირებულებებთან შესაბამისობაში.

SWOT ანალიზის გარდა, მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა სავარჯიშოები საკუთარი პროფესიული ინტერესის გამოსაკვეთად. ეს შეიძლება იყოს: ესეს დაწერა, გეგმის შედგენა, ჩამონათვალის გაკეთება და სხვა. ამ დროს ისინი იაზრებენ, თუ რა სურთ და როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი მომავალი. მასწავლებლები მათთან ერთად განიხილავენ პროფესიის არჩევისას ხშირად დაშვებულ შეცდომებს და ამ შეცდომების საფუძველზე გამოყოფენ, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება ადამიანმა, რათა სწორად აირჩიოს პროფესია.

მოქალაქეობის მასწავლებლები მოსწავლეებს ხელს უწყობენ მეწარმეობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - ინიციატივის განვითარებაში. გაკვეთილზე განიხილავენ პრობლემის შემოქმედებითი გზით გადაჭრას: ახდენენ სიტუაციის ანალიზს, გონებრივი იერიშის გზით იდეების გენერირებას, შესაბამისი კრიტერიუმებით არჩევენ საუკეთესო იდეას.

მასწავლებლები ცდილობენ, კეთებით სწავლების პროცესი სახალისო გახადონ. მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს, ამზადებენ რეკლამას, ხოლო მიღებული მოგება კი შეუძლიათ, დახარჯონ საქველმოქმედო ინიციატივაში ან, შეიძინონ კლასისთვის საჭირო რესურსები. ასეთი აქტივობებით მოსწავლეებს უვითარდებათ პრაქტიკული უნარები რაც ზრდის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეები თავად გახდნენ დამსაქმებლები.

საგნის სწავლებას თან ახლავს გამოწვევებიც. პირველ რიგში, ეს არის გარემო, რომელსაც ქმნის სკოლა მეწარმეობის კომპეტენციის განვითარებისათვის. სკოლის ფარული კურიკულუმი (დაუწერელი წესები, ქცევითი მოდელები და ღირებულებები) მოსწავლეს აძლევს გარკვეულ მაგალითებს, რომლებიც ილექება მის ცნობიერებაში. არსებულ სასკოლო სისტემაში მოსწავლეები, როგორც წესი, საკუთარი სწავლის პროცესის

დაგეგმვაშიც კი არ იღებენ მონაწილეობას. ძირითადი სასკოლო აქტივობების დაგეგმვა სკოლაში მოსწავლეების ჩართულობის გარეშე, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ ხდება. შესაბამისად სკოლების დიდ ნაწილში არსებული ასეთი დახურული სკოლის კულტურა არ ქმნის გარემოს მოსწავლის დონეზე ინიციატივების გაჩენისა და წახალისებისათვის. აქედან გამომდინარე, ფარული კურიკულუმი ხელს არ უწყობს მოსწავლეებში მეწარმეობის უნარების განვითარებას. იგი ვერ ხედავს შემოქმედებით პროცესებს და სკოლის თემში ცვლილებებზე მუშაობას. დანერგვის პროცესში მყოფი ახალი სკოლის მოდელის მიზანი სასკოლო კულტურის და ფარული კურიკულუმის შეცვლაა, რამაც შესაძლებელია მოახდინოს პოზიტიური ტრანსფორმაცია ამ მიმართულებით.

ამ ძირითადი გამოწვევების მიღმა, მეწარმეობის კომპეტენციის განვითარებისას სხვა გამოწვევებიც გვხვდება, მათ შორის, მასწავლებლებში ცოდნის ნაკლებობა და სასწავლო რესურსების სიმცირე. გარდა ამისა, საქართველოში მეწარმეობის საფუძვლების სწავლება შედარებით ახალი დისციპლინაა და შესაბამისად, ამ საგნის სწავლების საკმარისი გამოცდილება არ არის დაგროვებული.

კიდევ ერთი გამოწვევა რაც ამ საკითხთან არის დაკავშირებული, არის სკოლების მხრიდან მეწარმეობრივი განათლების მიმართ ინტერესის ნაკლებობა. სკოლები უმეტესად ირჩევენ სხვა პროფილებს და ძირითადად STEM-ისა და უცხო ენების მიმართულებებს უთმობენ მეტ ყურადღებასა და რესურსებს. აგრეთვე, მეწარმეობის მიმართ მოტივაციას აფერხებს ისიც, რომ სკოლის დამამთავრებელი საფეხურის მთავარი მიზანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარშემო ტრიალებს და ხდება იმ საგნების იგნორირება, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული გამოცდაზე ჩასაბარებელ საგნებთან.

არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოში მეწარმეობრივი განათლების დანერგვისა და გაძლიერების პროცესში აღინიშნება პოზიტიური დინამიკა. შედეგები გამოიხატება მოსწავლეების კომპეტენციებისა და მოტივაციის ზრდასა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობაში. ეროვნული სასწავლო გეგმა ქმნის მეწარმეობის სწავლების საფუძველს, ხოლო სკოლები, გარე ორგანიზაციების დახმარებით, უზრუნველყოფენ მოსწავლეების კომპეტენციის ამაღლებას, მათ მომზადებას ინიციატივის გამოჩენასა და იდეის პრაქტიკაში განხორციელებისთვის. ახალგაზრდებს უვითარდებათ ცოდნა და უნარები როგორც მომავალი პროფესიის არჩევის, ასევე თვითდასაქმებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

European Commission. EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework

European Commission. Entrepreneurship Education at School in Europe (Eurydice Report), 2016

Lackéus Martin, Entrepreneurship in Education. What, Why, When, How. OECD, 2015

Carcamo Solis Maria de Lourdes, Arroyo–López María del Pilar, Alvarez Castañon Lorena del Carmen, Garcia Lopez Elvia. Developing Entrepreneurship in Primary Schools. The Mexican Experience of “My First Enterprise: Entrepreneurship by Playing”. Elsevier Journal 2017

RIBS Project, Recommendations for an Entrepreneurship Curriculum. Interreg Central Baltic, European Regional Development Fund.

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი. http://ncp.ge

დოკუმენტზე მუშაობისას ჩატარდა ინტერვიუები განათლების სპეციალისტებთან:

ნიკოლოზ სილაგაძე – განათლების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების კოორდინატორი

ეკა გეგეშიძე – ორგანიზაცია “ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ანდრიაძე – სამეწარმეო განათლების ექსპერტი, საკონსულტაციო კომპანია Mindworks – დამფუძნებელი